საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის
სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

თბილისის აპ.ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია თსსა
სახვითი ხელოვნების ფაკულტეტი

საბაკალავრო   პროგრამა
გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნება

Graphic Art

პროგრამის ხელმძღვანელი: თსსა სახვითი
ხელოვნების ფაკულტეტის ემერიტუსი- თამაზ
ვარვარიძე თსსა სახვითი ხელოვნების
ფაკულტეტის  ასოცირებული პროფესორი -
ბაია სიხარულიძე

დამტკიცებულია თსსა აკდემიური საბჭოს სხდომაზე
2023 წლის 24 აპილი ოქმი
#21

პროგრამის სახელწოდება: გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნება Graphic Art

განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ხელოვნების ბაკალავრი გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნებაში
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საგანმანათებლო პროგრამაზე დაიშვებიან აბიტურიენტები, რომელთაც გავლილი აქვთ თსსა შემოქმედებითი ტური და ერთიანი ეროვნული გამოცდები: ვიზუალური ხელოვნების საბაკალავრო პროგრამის აბიტურიენტებისთვის ერთიანი ეროვნულ გამოცდებზე ბარდება - ქართული ენა, უცხო ენა, შემოქმედებითი ტური (ორ კომპონენტიანი: პორთფოლიო- გამოცდა) (დანართი -ანკეტა-კითხვარი).

პროგრამის მოცულობა: ECTS 240; სემესტრი-30 ECTS; 1ECTS-25სთ.

სწავლის ხანგრძლივობა: ECTS 240, 4 წელი სწავლის ხანგრძლივობა – 4 აკადემიური წელი, 8 სემესრი, (სასწავლო წელი შედგება ორი სემესტრისგან). სასწავლო წლის ხანგრძლივობა - 40 კვირა, აქედან 15 სააუდიტორიო, 3 სასესიო და 2 პრაქტიკა. ლექციის ხანგრძლივობა 50 წუთი.

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის ანოტაცია: გრაფიკა სახვითი ხელოვნების უძველესი, ტრადიციული დარგია. გრაფიკული ნამუშევრის შექმნის მეთოდის, მხატვრული ხერხების, ტექნიკურ-ტექნოლოგიური მახასიათებლებისა და მისია/ფუნქციის მიხედვით რამოდენიმე სახისაა: დაზგური გრაფიკა, რომელიც მოიცავს ნახატს, ჩანახატს და ყველა ტიპის ბეჭვდით გრაფიკას; წიგნის ილუსტრაცია: წიგნის ილუსტრირებას, კონსტრუირებას, ყდის, ფორზაცის, სუპერ ყდის გაფორმებას, შრიფტის ხელოვნებას; პლაკატი (პოსტერი): სარეკლამო ინფორმაციას, მასობრივ ვიზუალურ კომუნიკაციას, პროპაგანდასა და სააგიტაციო ფუნქციას; მხატვრული ანიაცია (მოძრავი გრაფიკა) ანიმაციური ფილმისთვის გრაფიკული საშუალებებით ტიპაჟების, ფონების, ძირითადი და გარდამავალი ფაზების და დასრულებული ანიმაციური ფილმის მხატვრული სახის შექმნა.
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნება შემუშავებულია სწავლების ტრადიციულ და ინოვაციურ მეთოდების საფუძველზე. იგი მიზნად ისახავს სტუდენტს შეასწავლოს გრაფიკის სახეობები (დაზგური გრაფიკა, წიგნის ილუსტრაცია, პლაკატი, მხატვრული ანიმაცია) რომელიც თავისი კონკრეტული მისიიდან გამომდინარე, მხატვრული ამოცანის დასაძლევად გამოიყენებს, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ ვიზუალურ ენას, მხატვრულ მეთოდს, მასალას, ინსტრუმენტს და ტექნიკა-ტექნოლოგიას. გრაფიკის ყველა სახეობის შესწავლა, მნიშვნელოვნად აფართოვებს კურსდამთავრებულის კომპეტენციებს და შესაბამისად ზრდის მისი დასაქმების შესაძლებლობებს.

პროგრამის მიზანი: გრაფიკა მუდმივად განახლებადი სფეროა. იგი მოიცავს ინტერესთა ფართო არეალს (საზოგადოებრივს, პოლიტიკურს, სოციალურს, ისტორიულს, ეკოლოგიურს, კულტურულს და სხვა.) ამიტომ მისი გამომსახველობითი საშუალებები, ტექნიკურ-ტექნოლოგიური და სტილური მახასიათებლები მუდმივად ტრანსფორმირდება. შესაბამისად შემოთავაზებული საბაკალავრო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნება ითვალისწინებს თანამედროვე მხატვრ- გრაფიკოსს შეასწავლოს გრაფიკული ნამუშევრის ვიზუალიზაციის არა მხოლოდ ტრადიციული, გრაფიკული მეთოდების და ტექნიკები, არამედ გამოუმუშაოს ვრცელი კომპეტენციები ახალი მედიების, თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების სფეროში, რისი სწავლების ვალდებულებასაც იღება წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამა.

პროგრამის მიზნია, მისცეს სტუდენტს ცოდნა გრაფიკული ნამუშევრის შექმნის მეთოდის, მხატვრული ხერხების და სხვადასხვა ტიპის სტილურ თუ ტექნიკურ ტექნოლოგიურ მახასიათებლების სფეროში, შედეგად სტუდენტი შეძლებს დაუკავშირებს ერთმანეთს თავისი შემუშავებული იდეის/კონცეპციის კონტექსტს გრაფიკულ მასალაზე მუშაობის მხატვრული მეთოდები და ხერხები.

პროგრამა იღებს ვალდებულებას შეასწავლოს სტუდენტს, როგორც გრაფიკული ნამუშევრის (დაზგური გრაფიკა, წიგნის ილუსტრაცია, პლაკატი, მხატვრული ანიმაცია) შექმნის მხატვრული მეთოდებისა და ხერხების სფეროში, ასევე მისცეს ფართო ცოდნა, სახვითი ხელოვნების აკადემიური დისციპლინების: ფერწერის, ხატვის, კომპოზიციის საფუძვლებისა და ზოგადი პრინციპების სფეროში.

პროგრამაში ჩართული თანამედროვე საკომუნიკაციო-საინფორმაციო ტექნოლოგიების სასწავლო კურსები სტუდენტს შეასწავლის ვიზუალური მასალის მოძიების მეთოდებს და გამოუმუშავებს გრაფიკული ნამუშევრის ვიზუალიზაციის პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების პრაქტიკულ უნარებს.

პროგრამის ფინალური გამოცდის ფორმატი ითვალისწინებს სტუდენტს გამოუმუშაოს დასრულებული სემესტრული შემოქმედებითი პროექტის კრიტიკული ანალიზისა და პოლემიკურ/ვერბალური უნარების განვითარება, შესძინოს შემოქმედებითი პროექტის ორგანიზაციულ საკითხებში აქტიური ჩართულობის და სასწავლო პროცესში დროის სწორად განაწილების უნარები.

პროგრამაში ჩართული თანამედროვე ხელოვნების თეორიის, ხელოვნების ისტორიის, უცხო ენის ზოგად საუნივერსიტეტო თეორიული კურსები, მნიშვნელოვნად გააფართოვებს სტუდენტის სააზროვნო არეალს, მიღებული პრაქტიკული და თეორიული ცოდნა ხელს შეუწყობს მის ადაპტაციას ადგილობრივ და საერთაშორისო სახელოვნებო სივრცეში.

პროგრამის მიზანია ასევე აღზარდოს დარგის კვალიფიციური სპეციალისტი, რომელიც გრაფიკულ, მხატვრულ პროექტზე მუშაობის პროცესს, წარმართავს ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, ადექვატურად აფასებს თავის შესაძლებლობებს და პროფესიული კომპეტენციების დახვეწისთვის აცნობიერებს აკადემიური განათლების დაგეგმვისა და გაგრძელების საჭიროებას;

პროგრამის სტრუქტურა:

საბაზისო სასწავლო კურსები ----- 18 ECTS სპეციალობის
სასწავლო კურსები ------ 140 ECTS საუნივერსიტეტო
სასწავლო კურსები ----- 36 ECTS სპეციალობის არჩევითი
სასწავლო კურსები ---- 28 ECTS საუნივერსიტეტო
არჩევითი სასწავლო კურსები---18 ECTS

სასწავლო გეგმა:

| | საგნის დასახელება | კრედი რაოდენ | ს ე მ ე ს ტ რ ი | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | I კურსი | | II კურსი | | III კურსი | | IV კურსი | |
| | | | I | II | III | IY | V | VI | VII | VIII |
| | საბაზის სასწავლო კურსები | | | | | | | | | |
| საბაზო დისციპლინათა ბლ | ფერწერა (ვიზუალური ხელოვნება) | | 3 | | | | | | | |
| | ფერწერის საფუძვლები | | | 3 | | | | | | |
| | ხატვა(ვიზუალური ხელოვნება) | | 3 | | | | | | | |
| | ხატვის საფუძვლები | | | 3 | | | | | | |
| | გეომეტრიულიმოდელირება | | 3 | | | | | | | |
| | ინფორმაციული ტექნოლოგიები და საოფისე უნარები | | | 3 | | | | | | |
| | | 18 | 9 | 9 | | | | | | |
| | სპეციალობის სასწავლო კურსები | | | | | | | | | |
| | ფერის კოლორისტული ინტერპრეტაცია | | 3 | | | | | | | |
| | ფერის სპექტრული ინტერპეტაცია | | | 3 | | | | | | |
| | სკეჩინგი -1 | | 3 | | | | | | | |
| | სკეჩინგი -2 | | | 3 | | | | | | |
| | ფერწერა/ მოცულობა, ფაქტურა,სივრცე | | | | 4 | | | | | |
| | ფერწერა/ ფონები, ფაქტურები, მოცულობები | | | | | 4 | | | | |
| | ფერწერა/ფერითი ინტერპრეტაციები | | | | | | 3 | | | |
| | ფერწერა/ ფერითი რეგისტრები | | | | | | | 3 | | |
| | ფერწერა/ტონალური ნიუანსები | | | | | | | | 3 | |
| | ფერწერა/კოლორისტული ინტერპრეტაციები | | | | | | | | | 3 |
| | ხატვა /კონსტრუქცია, მოცულობა, პლასტიკა | | | | 4 | | | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ხატვა /ობიექტი სივრცეში | | | | | 4 | | | | |
| | ხატვა / კონსტრუქციული ობიექტი | | | | | | 4 | | | |
| | ხატვა / რაკურსი, პერსპექტივი | | | | | | | 4 | | |
| | ხატვა /კონსტრუქციული მოდელი | | | | | | | | 3 | |
| | ხატვა / მოდელი, მოცულობა, პლასტიკა, ფაქტურა | | | | | | | | | 3 |
| | კომპოზიცია (ვიზუალური ხელოვნება) | | 3 | | | | | | | |
| | კომპოზიციის საფუძვლები | | | 3 | | | | | | |
| | კომპოზიცია/პერსპექტივი, პლანობრივი ლოგიკა. | | | | 3 | | | | | |
| | სიმეტრიული კომპოზიცია | | | | | 3 | | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ასიმეტრიული კომპოზიცია | | | | | | 4 | | | |
| | ფრიზული კომპოზიცია | | | | | | | 4 | | |
| | კომპოზცია/სტრუქტურული რითმი | | | | | | | | 4 | |
| | ნონფიგურატიული კომპოზიცია | | | | | | | | | 4 |
| | მუშაობა მასალაში/ძირითადი ბეჭვდითი ტექნოლოგიები | | | 3 | | | | | | |
| | მუშაობა მასალაში/მაღალი ბეჭდვა | | | | 3 | | | | | |
| | მუშაობა მასალაში/ქსილოგრაფია, ლინოგრავიურა | | | | | 3 | | | | |
| | მუშაობა მასალაში/ღრმა ბეჭდვა | | | | | | 3 | | | |
| | მუშაობა მასალაში/ ოფორტი | | | | | | | 3 | | |
| | მუშაობა მასალაში/ბრტყელი ბეჭდვა | | | | | | | | 3 | |
| | მუშაობა მასალაში/ფერადი ლითოგრაფია | | | | | | | | | 3 |
| | რასტრული გრაფიკა | | | | | | 3 | | | |
| | ვექტორული გრაფიკა | | | | | | | 3 | | |
| | შრიფტი 1 | | | | | | 3 | | | |
| | შრიფტი 2 | | | | | | | 3 | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | კომიქსი 1 | | | | | | | | 3 | |
| | კომიქსი 2 | | | | | | | | | 3 |
| | პლასტიკური ანატომია 1 | | | | 3 | | | | | |
| | პლასტიკური ანატომია 2 | | | | | 3 | | | | |
| | პრაქტიკა | | | | | | | | 3 | |
| | საბაკალავრო ნაშრომი | | | | | | | | | 10 |
| | | 140 | 9 | 12 | 17 | 17 | 20 | 20 | 19 | 26 |
| | საუნივერსიტეტო სასწავლო კურსები | | | | | | | | | |
| საუნივერსიტეტ თავისუ დისციპლინები ბლ თავისუ | უცხო ენა I | | 3 | | | | | | | |
| | უცხო ენა II | | | 3 | | | | | | |
| | უცხო ენა III | | | | 3 | | | | | |
| | უცხო ენა IV | | | | | 3 | | | | |
| | ძველი სამყაროს ხელოვნება | | 3 | | | | | | | |
| | შუა საუკუნეებისა და რენესანსისხელოვნება | | | 3 | | | | | | |
| | XVII-XIX-სს-ის ევროპის ხელოვნება | | | | 3 | | | | | |
| | ახალი და უახლესი დროის ხელოვნება (XVII-XIX-სს) | | | | | 3 | | | | |
| | წინაქრისტიანული და შუა საუკუნეების ქართული ხელოვნება | | 3 | | | | | | | |
| | ახალი და უახლესი ქართული ხელოვნება(XIX-XXI სს) | | | 3 | | | | | | |
| | აკადემირი წერა | | 3 | | | | | | | |
| | ფილოსოფია | | | | 3 | | | | | |
| | | 36 | **12** | 9 | 9 | **6** | | | | |
| | სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები | | | | | | | | | |
| არჩევ ი ს კურს ს ბლ | ანიმაცია/ძირითადი პრინციპები | | | | 4 | | | | | |
| | წიგნის დიზაინი და ილუსტრაცია/მაღალი ბეჭვდა | | | | | | | | | |
| | პლაკატი/მაღალი ბეჭდვა | | | | | | | | | |
| | დაზგური გრაფიკა/მაღალი ბეჭდვა | | | | | | | | | |
| | ანიმაციის საფუძვლები | | | | | 4 | | | | |
| | წიგნის დიზაინი და ილუტრაცია/ქსილოგრაფია, ლინოგრავიურა. | | | | | | | | | |
| | პლაკატი/ქსილოგრაფია, ლინოგრავიურა. | | | | | | | | | |
| | დაზგური გრაფიკა/ქსილოგრაფია, ლინოგრავიურა. | | | | | | | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ანიმაცია/ფერი და გრაფიკა | | | | | | | | | |
| | წიგნის დიზაინი და ილუტრაცია/ღრმა ბეჭვდვა | | | | | | 4 | | | |
| | პლაკატი/ ღრმა ბეჭდვა | | | | | | | | | |
| | დაზგური გრაფიკა/ ღრმა ბეჭდვა | | | | | | | | | |
| | მარტივი ანიმაცია | | | | | | | | | |
| | წიგნის დიზაინი და ილუტრაცია/ოფორტი | | | | | | | 4 | | |
| | პლაკატი/ოფორტი | | | | | | | | | |
| | დაზგური გრაფიკა/ოფორტი | | | | | | | | | |
| | რთული ანიმაცია | | | | | | | | | |
| | წიგნის დიზაინი და ილუტრაცია/ ბრტყელი ბეჭვდვა | | | | | | | | 6 | |
| | პლაკატი/ბრტყელი ბეჭდვა | | | | | | | | | |
| | დაზგური გრაფიკა/ბრტყელი ბეჭდვა | | | | | | | | | |
| | ანიმაცია/კადრირება,პერსონაჟი, ფილმი | | | | | | | | | |
| | წიგნის დიზაინი და ილუტრაცია/ფერადი ლითოგრაფია | | | | | | | | | 6 |
| | პლაკატი/ფერადი ლითოგრაფია | | | | | | | | | |
| | დაზგური გრაფიკა/ფერადი ლითოგრაფია | | | | | | | | | |
| | | 28 | | | **4** | **4** | 4 | 4 | 6 | **6** |
| | საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები | | | | | | | | | |
| | კულტუროლოგიის საფუძვლები | | | | | 3 | | | | |
| | ეგზისტენციალური ფსიქოლოგიის ძირითადი პრონციპები | | | | | | 3 | | | |
| | ფორმატი თანამედროვე ხელოვნებაში | | | | | | | 3 | | |
| | გამოსახულებიდან ობიექტამდეკუბიზმი, დადაიზმი, სიურეალიზმი, პოპ-არტი. | | | | | | 3 | | | |
| | საექსპოზიციო პროექტი | | | | | | | 3 | | |
| | აბსტრაქტული ხელოვნებამიმართულებები და თეორიები | | | | | | | | 3 | |
| | | | | | | | | | | |
| | | 18 | | | | 3 | 6 | 6 | 3 | |
| | | 240 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | 28 | 32 |

სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები :

1. დაზგური გრაფიკა-მაღალი ბეჭდვა
2. პლაკატი-პოსტერი-მაღალი ბეჭდვა
3. წიგნის დიზაინი და ილუსტრაცია-მაღალი ბეჭდვა
4. ანიმაციის საფუძვლები
5. ანიმაცია/
6. დაზგური გრაფიკა-ქსილოგრაფია, ლინოგრავიურა
7. პლაკატი-პოსტერი-ქსილოგრაფია,ლინოგრავიურა
8. წიგნის დიზაინი და ილუსტრაცია-ქსილოგრაფია,ლინოგრავიურა 9. პლაკატი-პოსტერი-ოფორტი

საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები:

1.კულტუროლოგიის საფუძვლები

2. ეგზისტენციალური ფსიქოლოგიის ფუნდამენტური საკითხები

3. ეგზისტენციალური ფსიქოლოგიის ძირითადი პრობლემატიკა

4.ფორმატი თანამედროვე ხელოვნებაში

5. გამოსახულებიდან ობიექტამდე-კუბიზმი, დადაიზმი, სიურეალიზმი, პოპ-არტი. 6. ესთეტიკა (ზოგადი კურსი)

7. ძველი სამყაროს ხელოვნება
8. წინაქრისტიანული და შუასაუკუნეების ქართული ხელოვნება
9. თანამედროვე ესტეტიკა
10. ახალი და უახლესი ქართული ხელოვნება (XIX-XX)
11. XVII-XIX ს-ის ევროპის ხელოვნება
12. გრაფიკის ხელოვნების წარმოშობის და განვითარების ისტორია
13. მოდერნიზმი საქართველოში
14. თბილისის არტისტული კაფეები და მათი მოხატულობა
15. ქართული მოდერნიზმი
16. XX საუკუნის დასავლეთ ევროპის ავანგარდი
17. გამოსახულებიდან ობიექტამდე
18. რომანტიზმი და სიმბოლიზმი
19. აბსტრაქტული ხელოვნება-მიმართულებები და თეორიები
20. კლასიციზმიდან პოსტიმპრესიონიზმამდე

საბაკალავრო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი სოფიო თუმანიშვილი
მობ: +995 555 93 94 08
ელ-ფოსტა: sofo.tumanishvili@art.edu.ge